ადრესატი: გვანცა გიგაური
პირადი ნომერი: 31001053277
მისამართი: მცხეთა, სოფელი ნავდარაანთკარი, მე–9 ქ. N10; ელექტრონული ფოსტა: foi+request-2836-28a0843d@askgov.ge

წერილის ნომერი: **34-342322326**
თარიღი: **11/08/2023**

ქალბატონო გვანცა,

საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე, თქვენი 2023 წლის 2 აგვისტოს განცხადების (მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრაციის N19/3423214121-34, 02.08.2023წ.) პასუხად, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას სოფელ ნავდარაანთკარის 2019-2023 წლების ბიუჯეტის და აღნიშნულ სოფელში განხორციელებული და განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ, გაცნობებთ, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქს და სოფლებს ცალ-ცალკე ბიუჯეტი არ გააჩნიათ და მცხეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სამუშაოები, მათ შორის, ინფრასტრუქტურული, ასახულია მცხეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. რაც შეეხება, სოფელ ნავდარაანთკარში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს, გაცნობებთ, რომ 2019-2022 წლებში, სოფელში მოეწყო სასმელი წყლის ჭაბურღილი და ჩატარდა დაქსელვის სამუშაოები, მოეწყო მინი სპორტული მოედანი და სკვერი, ხოლო 2023 წელს უკვე შესყიდულია მდინარე თეზამის ხევში ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და უახლოეს პერიოდში, ზემოხსენებული სამუშაოების განსახორციელებლად გამოცხადდება ტენდერი.

პატივისცემით,

დიმიტრი ზურაბიშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი